საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1383-03
05/09/2022

„ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე არსებული ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის - "ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთისა და ევრაზიის კვლევები (CEERES)" 2021-2022 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ" რექტორის 2021 წლის 14 დეკემბრის N 2594-03 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-18 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტების, რექტორის 2022 წლის 25 აგვისტოს N 2150-02 ბრძანების საფუძველზე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 30აგვისტოს N11 სხდომის გადაწყვეტილების, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის 2022 წლის 29 აგვისტოს N 12331-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე არსებული ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის - "ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთისა და ევრაზიის კვლევები (CEERES)" 2021-2022 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ" რექტორის 2021 წლის 14 დეკემბრის N 2594-03 ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ დანართში და ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის სახით;

2. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებ.გვერდზე;

3. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ეს ბრძანება გააცნოს უნივერსიტეტის ფაკულტეტებს/სკოლას და ყველა სტრუქტურულ ერთეულს.

გიორგი გვალია

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი